



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით

I შ ე ს ა ვ ა ლ ი

29 დეკემბერი, 2016 წელი

თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

მოსამართლე - გიორგი გოგიაშვილი

სხდომის მდივანი - ლიანა გელაშვილი

აპელანტი - ლუიზა ლაფერაძე
წარმომადგენელი - ქეთევან ბახტაძე

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო
აკადემია
წარმომადგენელი - გივი ყიფიანი


მესამე პირი - ეკატერინე გელოვანი, თამარ მინაშვილი

დავის საგანი - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, ახალი აქტის
გამოცემა

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება

II ა ლ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ ი ნ ა წ ი ლ ი

1. აპელანტის მოთხოვნა



14/ 97
27.01.17

1.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 31 მაისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება

2. გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითება:

2.1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 31 მაისის გადაწყვეტილებით ლუიზა ლაფერაძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2.1. დასკვნები ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

2003-2014 წლებში ლუიზა ლაფერაძე თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა.

მტკიცებულება:

- თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის 2014 წლის 15 აგვისტოს N07/16-1321 ცნობა (ს.ფ. 32).

2014 წლის ივნისში სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიის ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი გამოაცხადდა და სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 24 ივნისის N060ს/ხ ბრძანებით კონკურსის ჩატარების წესი დამტკიცდა.

მტკიცებულება:

- მხარეთა განმარტებები - სარჩელი (ს.ფ. 1-14), შესაგებელი (51-59);
- სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიის 2014 წლის 24 ივნისის N060ს/ხ ბრძანება (ს.ფ. 15);
- თსსა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესი (ს.ფ. 16-21).

სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიაში 2014 ივნისში გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და ფერწერის მიმართულების ასისტენტ პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად განცხადება ლუიზა ლაფერაძემ წარადგინა.

მტკიცებულება:

- საკონკურსო კომისიის 2014 წლის 19 აგვისტოს N6 სხდომის ოქმი (ს.ფ. 22-28).

თსსა სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის დარგობრივმა საფაკულტეტო კომისიამ კანდიდატ ლუიზა ლაფერაძის განაცხადი საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისად მიიჩნია, თუმცა ფერწერის მიმართულების ასისტენტ პროფესორის 2 ვაკანტური ადგილის დასაკავებლად

უპირატესობა ეკატერინე გელოვანსა და თამარ მინაშვილს მიანიჭა და დასახელებული პირები თანამდებობებზე 4 წლის ვადით აირჩია. ოქმის თანახმად, კომისიის წევრებმა, რომლებიც იცნობდნენ ლუიზა ლაფერაძეს და მის მოღვაწეობას, განმარტეს, რომ ლუიზა ლაფერაძე სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე მოწვეულ პედაგოგად წლების განმავლობაში მუშაობდა, რა დროსაც მისი მხრიდან ხშირი იყო არაკოლეგიალური ქცევა, არაჯანსაღი, სასწავლო პროცესისათვის შეუსაბამო გარემოს შექმნა, რაც არასახარბილოდ აისახებოდა საგანმანათლებლო პროცესზე.

მტკიცებულება:

- საკონკურსო კომისიის 2014 წლის 19 აგვისტოს N6 სხდომის ოქმი (ს.ფ. 22-28).

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოება:

საკონკურსო კომისიის 2014 წლის 19 აგვისტოს გადაწყვეტილება (სხდომის ოქმი N6) სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიაში ფერწერის მიმართულების ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე ეკატერინე გელოვანისა და თამარ მინაშვილის კანდიდატურის არჩევის თაობაზე მიღებულ იქნა კომისიის წევრების მიერ ხსენებულ ვაკანსიაზე წარდგენილი კანდიდატების მონაცემების შეფასების საფუძველზე და რომელიმე კანდიდატისათვის უპირატესობის უსაფუძვლოდ მინიჭებაზე მეტყველი გარემოება საქმის მასალებიდან არ დასტურდება.

დასახელებული დასკვნა საქმის მასალებიდან, მხარეთა განმარტებებიდან და საკონკურსო კომისიის წევრების ჩვენებებიდან გამომდინარეობს.

მოწმე ილია ზაუტაშვილის ჩვენების თანახმად, იგი ლუიზა ლაფერაძეს პირადად არ იცნობდა, მის შემოქმედებით პორტფოლიოს კი კომისიის საქმიანობისას გაეცნო და დადებითად შეაფასა იგი, ამასთან, არსებობდა კომისიის სხვა წევრების უარყოფითი დამოკიდებულება სამუშაო პროცესში ლუიზა ლაფერაძის არაკოლეგიალურობასთან დაკავშირებით. მოწმის მოსაზრებით, აკადემია ექვემდებარება გარკვეულ პროგრამას და თუ ასისტენტ პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და სრული პროფესორი სხვადასხვა მიმართულებით იმოქმედებენ, სასწავლო პროცესი ვერ შედგება. ჩვენების მიხედვით, აღნიშნული შეხედულებისა და იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ ლუიზა ლაფერაძის კონკურენტი კანდიდატების პორტფოლიოები იყო კარგი, ილია ზაუტაშვილი პირადად იცნობდა თამარ მინაშვილის შემოქმედებას, საქმიანობას და მეთოდოლოგიას და არ ჰქონდა მის მიმართ რაიმე საწინააღმდეგო, ლუიზა ლაფერაძის კანდიდატურა არ იქნა მხარდაჭერილი (2015 წლის 16 დეკემბრის სხდომის ოქმი, 13:19:50-13:56:24).

მოწმე გიორგი გუგუშვილის ჩვენების შესაბამისად, ის ლუიზა ლაფერაძეს და მის საქმიანობას რამდენიმე წელია იცნობს, ლუიზა ლაფერაძე ნიჭიერი მხატვარია და წლების წინ აკადემიაში ასისტენტის თანამდებობაზე დაინიშნა, თუმცა აღნიშნულ თანამდებობაზე საქმიანობისას გაჩნდა რიგი პრობლემები. მოწმის განმარტებით, ლუიზა ლაფერაძე არ ცნობდა სასწავლო პროგრამას, გააჩნდა მისეული ხედვა სწავლებაზე, შესაბამისად, ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად წარმართავდა სასწავლო პროცესს, გამოიწვია სტუდენტების ულტიმატუმი და კონფლიქტი ადმინისტრაციასთან, რაც მიუღებელი იყო. მოწმის მითითებით, კომისიის სხდომის ოქმში საკვალიფიოკაციო

მოთხოვნებთან ლუიზა ლაფერადის შესაბამისობაზე დასკვნა ლუიზა ლაფერადის პორტფოლიოს განხილვის შესაბამისად არის დაფიქსირებული, თუმცა ლუიზა ლაფერადის პედაგოგიური საქმიანობა უარყოფითად შეფასდა (2016 წლის 16 მარტის სხდომის ოქმი - 18:09:11-18:54:27).

მოწმე დავით ალექსიძის ჩვენების მიხედვით, მან ლუიზა ლაფერადე სკანდალური გამოფენის შემდეგ გაიცნო, მოსწონს მისი ნამუშევრები. მოწმის განმარტებით, კომისიაზე ხდებოდა კონკურსანტთა შეფასება, რის შედეგადაც მოხდა უკეთესი კანდიდატის გამოვლენა (2016 წლის 16 მარტის სხდომის ოქმი - 18:56:01-19:05:55).

მოწმე მამუკა მიქელაძის ჩვენების მიხედვით, ის ლუიზა ლაფერადეს არ იცნობს, მან შეაფასა რა კანდიდატების მონაცემები, არჩევანი ეკატერინე გელოვანისა და თამარ მინაშვილის სასარგებლოდ მიიღო (2016 წლის 16 მარტის სხდომის ოქმი - 19:07:49-19:12:11).

სასამართლომ მიიჩნია, რომ მოწმეების მიერ დაფიქსირებული განმარტებები ქმნიან საკონკურსო კომისიის მუშაობის ამსახველ სურათს, ცხადყოფენ კომისიის გადაწყვეტილების საფუძვლებს და დაუსაბუთებელია მოსარჩელე მხარის მტკიცება მასზე, რომ კომისიამ არასათანადოდ შეაფასა მისი პროფესიონალიზმი. უდავოა, რომ კომისიის წევრებს ლუიზა ლაფერადესთან, როგორც მხატვართან არ ჰქონიათ პრეტენზია, თუმცა ლუიზა ლაფერადის კანდიდატურა არ იქნა მხარდაჭერილი სტუდენტებთან სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული პრობლემების, ლუიზა ლაფერადისათვის სასწავლო პროგრამის მიუღებლობისა და კოლეგებთან მისი უთანხმოების გამო. ის გარემოება, რომ ლუიზა ლაფერადე ბევრ შემთხვევაში ხელმძღვანელი პირების ქმედებებში არაპროფესიონალიზმს ხედავდა, სასწავლო პროცესისადმი მათი დამოკიდებულება უპასუხისმგებლოდ მიაჩნდა და საჯაროდ აკრიტიკებდა სასწავლო პროგრამებს, დასტურდება ლუიზა ლაფერადის განმარტებებით (2015 წლის 16 დეკემბრის სხდომის ოქმი, 15:56:28, 12:58:56). ამასთან, ლუიზა ლაფერადის მოსაზრებით, „...მათთან საუბარი შეუძლებელი იყო“ (ს.გ. 273-280). ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებულ პირობებში აკადემიაში ლუიზა ლაფერადის საქმიანობის ეფექტურობის მიმართ კომისიის პრეტენზია საფუძვლიანი და ლოგიკური იყო. კომისიის პოზიცია აკადემიის პერსონალის შერჩევისას გამომდინარეობდა რა აკადემიის მიერ განსახორციელებელი პროგრამების შესრულების მიზნებიდან, ვერ იქნება მიჩნეული დაუსაბუთებლად.

ლუიზა ლაფერადეს კონკურენტი კანდიდატების პროფესიონალიზმისა თუ კომპეტენტურობის მიმართ პრეტენზია არ გამოუთქვამს, საქმის განხილვისას არ დადასტურებულა სადავო გადაწყვეტილებით თანამდებობებზე დანიშნული პირების თანამდებობასთან შეუსაბამაობაზე მეტყველი ფაქტები.

2.2. დასკვნები სამართლებრივ გარემოებებთან დაკავშირებით:

გასაჩივრებული გადაწყვეტილება (სხდომის ოქმი), როგორც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე მოსარჩელეს უარს ეუბნება თავის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე, ბათილია, თუ

ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, თანახმად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-601-ე მუხლისა.

გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შინაარსიდან გამომდინარე კი, მისი კანონიერება თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში აკადემიური პერსონალის მიღების მარეგულირებელი ნორმების საფუძველზე უნდა იქნეს შეფასებული.

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში აკადემურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების ძირითადი პრინციპები და წესი განსაზღვრულია საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“, სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის წესდებითა და აკადემიის 2014 წლის 24 ივნისის N060ს/ხ ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის ჩატარების წესით.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს, ამ პრინციპების დაცვას კი, კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმები უზრუნველყოფენ.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მიხედვით, კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობით და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილი წესით, საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. კონკურსის ჩატარების წესი კი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განისაზღვრება.

სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის წესდების (დამტკიცებული საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 16 მაისის N05/84 ბრძანებით) 23-ე მუხლი აკადემიაში კონკურსის ჩატარების შემდეგ ძირითად წესებს ადგენს: კონკურსი წარიმართება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე, ერთიანი საკონკურსო კომისიის მიერ აირჩევიან აკადემიის პროფესორები, მეორე ეტაპზე დარგობრივი (საფაკულტეტო) კომისიის მიერ აირჩევიან ფაკულტეტების ასოცირებული პროფესორები, ასისტენტ-პროფესორები და ასისტენტები (მე-2 პუნქტი); ერთიანი საკონკურსო კომისია შედგება ათი წევრისაგან. თითოეული ფაკულტეტის საბჭო შეარჩევს სათანადო ცოდნის, დამსახურებისა და გამოცდილების მქონე 4 კანდიდატურას შესაბამისი დარგიდან/სფეროდან, და წარუდგენს რექტორს. რექტორი თითოეული ფაკულტეტის მიერ წარდგენილი კანდიდატურებიდან შეარჩევს 2 წარმომადგენელს, რომლებიც შეადგენენ ერთიან საკონკურსო კომისიას (მე-3 პუნქტი); საკონკურსო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს აკადემიის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, აგრეთვე, კონკურსში მონაწილე კანდიდატი (მე-4 პუნქტი);

აკადემიის პროფესორების არჩევის შემდგომ, ერთიანი საკონკურსო კომისია იყოფა დარგობრივ (საფაკულტეტო) კომისიებად, რომელთა შემადგენლობაშიც შედიან 2 ერთიანი

საკონკურსო კომისიის წევრი, რომელიც რექტორის მიერ აირჩა ფაკულტეტის წარდგენილი კანდიდატურებიდან და ამავე ფაკულტეტის არჩეული პროფესორები (მე-5 პუნქტი); კონკურსის ჩატარების დამატებით წესსა და პირობებს ადგენს აკადემიური საბჭო (მე-6 პუნქტი);

„უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელოვნებო-შემოქმედებით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სახელოვნებო (შემოქმედებითი) მიმართულების (გარდა თეორიული დარგებისა) ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე არანაკლებ 4 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი.

სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელიძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის წესდების (დამტკიცებული საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 16 მაისის N05/84 ბრძანებით) 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ასისტენტ პროფესორად 4 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს: ა) არასახელოვნებო სპეციალობისათვის - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი; ბ) სახელოვნებო სპეციალობებისათვის - შესაბამისი სპეციალობის მაგისტრი ან მაგისტრთან გათანაბრებული პირი.

თსსა ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის მიზანია შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე რეგისტრირებულ პრეტენდენტთაგან საუკეთესოს გამოვლენა და მისი აკადემიურ თანამდებობაზე არჩევა. საუკეთესოს გამოვლენა გულისხმობს თითოეული კანდიდატის, მისი პროფესიული უნარების, გამოცდილების, სამეცნიერო თუ შემოქმედებითი პოტენციალისა და ა. შ. შეფასებას თსსა მისიისა და შესაბამისი ვაკანტური თანამდებობის მიმართ დადგენილ მოთხოვნების ჭრილში. კონკურსის მიზანია პრეტენდენტთაგან გამოავლინოს ის კანდიდატი, რომელიც მაქსიმალურად შეეფერება შესაბამის ვაკანტურ თანამდებობას. კომისიის გადაწყვეტილება არ შეიძლება შეფასებული იქნას როგორც პრეტენდენტთაგან საუკეთესო ხელოვანის, მეცნიერის ან პედაგოგის გამოვლენა, რამეთუ მხოლოდ ამ ტიპის შეფასება არ წარმოადგენს კომისიის ძირითად მიზანს.

ამავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებას იღებს რეკომენდაციების სახით, რაც წარმოადგენს ცალკეულ კანდიდატთა შესაბამის აკადემიურ თანამდებობაზე დანიშვნის წინაპირობას. მხოლოდ კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაციის შემთხვევაში მიიჩნევა, რომ კანდიდატმა გაიარა კონკურსი და არჩეულ იქნა აკადემიურ თანამდებობაზე.

ამავე მუხლის მე-3 პუნქტი ადგენს, რომ საკონკურსო კომისია და მისი თითოეული წევრი გადაწყვეტილებას იღებს შინაგანი რწმენის საფუძველზე. გადაწყვეტილების მიღებისას კომისიის თითოეული წევრი უნდა ხელმძღვანელობდეს გამოქვეყნებული საკონკურსო განაცხადებით, თითოეული აკადემიური თანამდებობის მიმართ დაწესებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებით, კრიტერიუმებით, რომლებიც მითითებულია საკონკურსო განაცხადებაში და ა.შ.

კონკურსის ჩატარების წესის მე-4 და მე-5 მუხლებით განსაზღვრული კომისიის მუშაობისა

და გადაწყვეტილების მიღების მარეგულირებელი ნორმების მიხედვით: საკონკურსო კომისია გადაწყვეტილება უნარიანია თუ მას ესწრება კომისიის ყველა წევრი (4.1 მუხლი); საკონკურსო კომისიის მუშაობას წარმართავს და ხელმძღვანელობს კომისიის თავჯდომარე. ღია კენჭისყრის შემთხვევაში, ხმების თანაბრად გაყოფისას უპირატესობა ენიჭება კომისიის თავჯდომარის ხმას (4.3 მუხლი); საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებებს იღებს კოლეგიალურდ, წევრთა საერთო შეთანხმებით. იმ შემთხვევაში, თუკი კომისიის წევრთა ხმები გაიყო და შეთანხმება ვერ ხერხდება, იმართება კენჭისყრა. კენჭისყრის შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უბრალო უმრავლესობით (5.1 მუხლი); კომისიის წევრებს არ აქვს გადაწყვეტილების მიღებისაგან თავის შეკავების ან კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარის თქმის უფლება (5.2 მუხლი); კენჭისყრის დანიშვნის შემთხვევაში, კომისიის ნებისმიერ წევრს აქვს უფლება მოითხოვოს ფარული კენჭისყრა (5.3 მუხლი); საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებები მიიღება პრეტენდენტთა დაუსწრებლად (5.4 მუხლი); საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებები აისახება საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც ხელს აწერს კომისიის ყველა წევრი და საკონკურსო კომისიის აპარატის ის წევრები, რომლებიც მონაწილეობდნენ სხდომასა და ოქმის მომზადებაში (5.5 მუხლი).

კონკურსის ჩატარების წესის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუკი ვაკანტურ თანამდებობაზე არის ორი ან მეტი კანდიდატი, რომელიც აკმაყოფილებს საკონკურსო განაცხადის მოთხოვნებს, საკონკურსო კომისია იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატთაგან საუკეთესოს შერჩევის თაობაზე.

ამავე წესის მე-10 მუხლის შესაბამისად, კომისიას, თუკი ის მიზანშეწონილად ჩათვლის, აქვს შესაძლებლობა, ოქმში დააფიქსიროს ის მოსაზრებები, გარემოებები თუ არგუმენტები, რომლითაც მან იხელმძღვანელა გადაწყვეტილების მიღებისას.

მოცემულ შემთხვევაში, სადავო აქტი გამოტანილია ზემოაღნიშნული წესების დაცვით და საწინააღმდეგოზე მითითება არც მოსარჩელეს გაუკეთებია. მოსარჩელის მტკიცება საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების არაობიექტურობასთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ არ იქნა გაზიარებული უსაფუძვლოების გამო (პუნქტი 3.2).

ამასთან, სასამართლომ განმარტა, რომ აკადემიაში აკადემიურ თანამდებობებზე პირთა არჩევის საკითხის გადაწყვეტა ცალსახად განეკუთვნება საკონკურსო კომისიის დისკრეციის სფეროს, როდესაც სამართლის ნორმა ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს შესაძლებლობას, რამდენიმე სასურველი გადაწყვეტილებიდან მიიღოს ერთ-ერთი თანასწორობის პრინციპის დაცვით (ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის "ლ" ქვეპუნქტის). სასამართლო კონტროლი ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებების შემოწმებისას ვრცელდება გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობაზე და არა მიზანშეწონილობის ასპექტებზე.

სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში, კომისიის გადაწყვეტილება გამოტანილია კანონმდებლობის დაცვით, ცხადია დისკრეციის გამოყენების მოტივები, რის გამოც არ არსებობს მისი ბათილად ცნობის საფუძველი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არსებობს სადავო აქტის ბათილად ცნობის საფუძველი.

3. სააპელაციო საჩივრის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძველები

3.1. აპელანტის განმარტებით, 2015 წლის 16 დეკემბერს გამართულ სხდომაზე გამოიკითხა მოწმე ილია ზაუტაშვილი. მან განაცხადა: „[პროფესორმა] მან არ უნდა უბიძგოს სტუდენტს რაიმე, ასე ვთქვათ, დესტრუქციული მოქმედებისკენ, ეს არის ჩემი პირადი პოზიცია. ეს იქნება გინდა პოლიტიკური, გინდა, როგორც გინდა. სტუდენტი თავისუფალია ამ მხრივ. სტუდენტს შეუძლია გამოთქვას და ... პედაგოგს შეუძლია გვერდზე დაუდგეს შემდეგ სტუდენტს. ეს არი ჩემი პოზიცია. არ არის დასაშვები, რომ პროფესორმა ან პედაგოგმა უბიძგოს სტუდენტს რაღაცისკენ”.

2016 წლის 16 მარტს გამართულ სხდომაზე გამოიკითხა გიორგი გუგუშვილი. მან განაცხადა, რომ „[ლუიზა ლაფერაძე] აქტიურია როგორც ხელოვანიც, ისე პერსონაც. ბოლო პერიოდში ვხედავთ აქციებზე, ხან უნივერსიტეტში, ხან მაღაროებში... მე ამაში ცუდს ვერაფერს ვერ ვხედავ... ეს სასწავლო პროცესს არ უკავშირდება, ეს უკავშირდება მის რევოლუციურ ზუნებას უფრო”.

აპელანტის მოსაზრებით, სასამართლომ დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სარჩელი განიხილა დისკრიმინაციის წინააღმდეგ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების სრული უგულვებელყოფით. სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა. მოსარჩელე უთითებდა, რომ სხდომის ოქმი - ინდივიდუალური ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი რომლითაც ლუიზა ლაფერაძეს უარი ეთქვა თანამდებობის დაკავებაზე ბათილია, რადგან იგი ეწინააღმდეგება კანონს. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და არ იმსჯელა საქართველოს კანონის „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ მოთხოვნებიდან გამომდინარე.

სასამართლომ გადაწყვეტილებაში საერთოდ არ იმსჯელა ლუიზა ლაფერაძის მიერ მიცემულ ახსნა-განმარტებასა და მის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებზე, არ მისცა მათ სათანადო შეფასება და არ გამოიყენა ისინი საქმეში არსებული გარემოებების არსებობა-არარსებობის დადგენისათვის. სასამართლომ არ შეამოწმა დისკრიმინაციის შესაძლო არსებობა იმ ტექსტის მიხედვით, რომელსაც დისკრიმინაციის საქმეებზე ასევე საკონსტიტუციო სასამართლოც იყენებს. როდესაც მოსარჩელე დაობს დისკრიმინაციაზე, უპირველესად, უნდა შემოწმდეს ჰქონდა თუ არა განსხვავებულ მოპყრობას ადგილი, ისევე, როგორც ეს ხდება სამოქალაქო წესით განსახილველ შრომით დავებში. როდესაც დადგინდება განსხვავებული მოპყრობა, უნდა შემოწმდეს იყო თუ არა მოპყრობა გონივრული, დასაბუთებული და ემსახურებოდა თუ არა კანონიერი მიზნის მიღწევას. ამის შემდეგ კი უნდა შემოწმდეს რამდენად პროპორციული იყო გამოყენებული საშუალება კანონიერი მიზნის მისაღწევად.

აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, სასამართლოს მიდგომიდან ვლინდება, რომ სასამართლო ვერ გაერკვა სასარჩელო მოთხოვნის რეალურ არსში, რომელიც დისკრიმინაციული მოპყრობის გამო აქტის ბათილობას, უკავშირდებოდა. საქმეში ამოსავალი მოთხოვნა სწორედ ეს იყო, რომ სადავო ადმინისტრაციული აქტი ბათილად ყოფილიყო ცნობილი, რომ ის კანონს ეწინააღმდეგება სწორედ ამ კუთხით: კანონის წინაშე თანასწორობის ფუნდამენტური

უფლების დარღვევა, რასაც შრომითი უფლებების დარღვევა მოყვა. შესაბამისად, სასამართლომ აქტის კანონთან მხოლოდ ფორმალური შესაბამისობა შეამოწმა და არა შინაარსობრივი.

უფლება სამართლიან სასამართლო განხილვაზე არსებითი კომპონენტის სახით მოიცავს გარანტიას, რომ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანისას, ის უნდა იყოს დასაბუთებული, საკმარისად არგუმენტირებული და სამართლიანი. მოცემულ შემთხვევაში, აპელანტს მიაჩნია, რომ სასამართლოს მხრიდან აღნიშნული უფლების ეს უმნიშვნელოვანესი კომპონენტი მოსარჩელის მიმართ დარღვეულია. ამდენად, სასამართლოს გადაწყვეტილება საკმარისად არ არის დასაბუთებული. ამასთან, ვინაიდან სასამართლოს არ ჰქონდა არსებითი მსჯელობა დისკრიმინაციულ მოპყრობასთან დაკავშირებით, გადაწყვეტილების დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ შეუძლებელია მისი საფუძვლიანობის შემოწმება, რის გამოც სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილების მიღებით უნდა დაკმაყოფილდეს სასარჩელო მოთხოვნა.

საქართველოს კონსტიტუციის მე-16 მუხლის თანახმად, „ყველას აქვს საკუთარი პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება“. აღნიშნული უფლება მოიცავს ადამიანის არაერთ უფლებასა და თავისუფლებას, რომლებიც პიროვნების თავისუფალი განვითარების რეალიზაციის საშუალებებად შეიძლება წარმოვიდგინოთ, მაგალითად: პირადი და ოჯახური ცხოვრება, გამოხატვის, ინფორმაციის მიღების, ინტელექტუალური შემოქმედების, საკუთარი შეხედულებით საქმიანობის თავისუფლებების უფლება და სხვა, რომელთა განხორციელების გარეშე შეუძლებელია პიროვნების თავისუფალი განვითარების (როგორც უფლების) რეალიზაცია. ამიტომაც, რომ ხშირად პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება კონკრეტული უფლებების აღიარებითა და მათი დაცვითაა უზრუნველყოფილი.

აღნიშნული მუხლი იცავს საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებასაც, რაც თავის თავში მოიცავს ყველაფერს, რაც კი ადამიანის ქცევად, ქმედებად თუ საქმიანობად შეიძლება იწოდებოდეს. საქმიანობის საყოველთაო თავისუფლება ადამიანს აღჭურავს უფლებით, თავად შეარჩიოს ამგვარ საქმიანობათა განხორციელების ფორმები, საშუალებები, დრო თუ ვითარება. ადამიანის ესა თუ ის ქმედება, რომელიც ნეგატიურად შეიძლება შეფასდეს, ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება მაინც დაცული იქნეს საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებით, თუკი მას არ გადაულახავს მართლზომიერების ფარგლები.

აპელანტი მოსაზრებით, ლუიზა ლაფერამის მიმართ დაირღვა საქმიანობის საყოველთაო თავისუფლების უფლება და აზრისა და სინდისის თავისუფლება, რომელიც დაცულია საქართველოს კონსტიტუციით. იგი იდევნება კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანოს თანამშრომელთა მიერ, რადგან აქვს განსხვავებული შეხედულებები სწავლასა და სწავლებაზე. ეს შეხედულებები კანონისა და სტანდარტის შესაბამისია, მაგრამ განსხვავდება კომისიის წევრთა შეხედულებებისგან.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1986 წლის 4 დეკემბრის დეკლარაციაში „განვითარების უფლების შესახებ“, განმარტებულია, რომ ადამიანის პიროვნება

ცენტრალური საგანია განვითარებისა და სწორედ იგი უნდა იყოს განვითარების უფლების აქტიური მონაწილე და მოსარგებლე". აღნიშნული დეკლარაცია ავალდებულებს სახელმწიფოებს, რომ მაქსიმალურად შეუწყონ ხელი ადამიანის უფლებას განვითარდეს, მაშასადამე ისარგებლოს საქმიანობის საყოველთაო თავისუფლების უფლებით.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-10 მუხლის თანახმად, „ყველას აქვს გამოხატვის თავისუფლების უფლება. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად". გადაწყვეტილებაში საქმეზე მიუღერი და სხვები შვეიცარიის წინააღმდეგ №10737/84 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ „ის პირები, რომლებიც ქმნიან, ასრულებენ, ავრცელებენ ან გამოფენენ ხელოვნების ნიმუშებს, ხელს უწყობენ იდეებისა და მოსაზრებების გაცვლას, რაც სასიცოცხლოა დემოკრატიული საზოგადოებისათვის”.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი ამგვარად იცავს განათლების უფლებას: „არავის შეიძლება უარი ეთქვას განათლების უფლებაზე”. აქვე მხედველობაშია მისაღები, რომ განათლების უფლება შეიძლება დაექვემდებაროს რეგულირებას, რაც განსხვავდება დროში და ადგილის მიხედვით, საზოგადოებისა და ცალკეული პირების საჭიროებისა და რესურსების გათვალისწინებით. მაგრამ აკადემიის შესაბამისი ორგანოს მიერ განსაზღვრული რეგულირება არ შეიძლება იყოს ერთადერთი და ჭეშმარიტი, განსაკუთრებით იმის გამო, რომ საქმე ეხება ხელოვნების სწავლებას, ხელოვნების აღზრდას, მათთვის თავისუფალი სააზროვნო სივრცის შექმნასა და შესაბამისი ღირებულებების ჩამოყალიბებას.

გადაწყვეტილებაში საქმეზე კიელდსენი, ბუსკი, მადსენი და პადერსენი დანიის წინააღმდეგ №5095/71, №5920/72, №5926/72 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ „მე-2 მუხლის მეორე წინადადების მიზანია დაიცვას პლურალიზმის შესაძლებლობა განათლებაში”. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ეხება მშობლების რელიგიური და ფილოსოფიური მრწამსის შესაბამის განათლებას, ეს განმარტება ხაზს უსვამს გარემოებას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პლურალიზმი განათლებაში. აღნიშნულ საქმეზე განმცხადებლებმა, როგორც ქრისტიანმა მშობლებმა, პროტესტი განაცხადეს სკოლებში სავალდებულო სქესობრივი განათლების გამო. სასამართლომ იკვლია ეროვნული კანონმდებლობა, მოახდინა სასწავლო მასალის შეფასება და არ დაადგინა მე-2 მუხლის დარღვევა, რადგან ჩათვალა, რომ აქ არსებითი და გადამწყვეტი იყო ბავშვის საუკეთესო ინტერესი და არა მშობელთა მსოფლმხედველობა და შეფასება. სწორედ აღნიშნული გარემოება უნდა გაითვალისწინოს სასამართლომ და მხედველობაში მიიღოს, იმ სტუდენტების მოსაზრება, რომელთათვისაც მნიშვნელოვანია, რომ სწორედ ლუიზა ლაფერაძეს ჰქონდეს შესაძლებლობა ასწავლოს მათ, ხოლო სტუდენტებს ჰქონდეთ შესაძლებლობა აირჩიონ მასწავლებელი თავად.

III ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების დასაბუთება:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. ამავე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, სამართლებრივი თვალსაზრისით შემოწმებისას სასამართლო ხელმძღვანელობს 393-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 389-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება აღწერილობითი და სამოტივაციო ნაწილების ნაცვლად უნდა შეიცავდეს საქმის გარემოებებთან დაკავშირებით გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნებზე მითითებას, შესაძლო ცვლილებების ან დამატებების გათვალისწინებით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, თუ სააპელაციო სასამართლო ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ ან/და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მაშინ დასაბუთება იცვლება მათზე მითითებით.

4.1. ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

სააპელაციო პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, მიუთითებს მათზე და დამატებით აღნიშნავს შემდეგს:

2003-2014 წლებში ლუიზა ლაფერაძე თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა.

2014 წლის ივნისში სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიის ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსი გამოაცხადდა და სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიის რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2014 წლის 24 ივნისის N060ს/ხ ბრძანებით კონკურსის ჩატარების წესი დამტკიცდა.

სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიაში 2014 ივნისში გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად და ფერწერის მიმართულების ასისტენტ პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად განცხადება ლუიზა ლაფერაძემ წარადგინა.

თსსა სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის ვაკანტური აკადემიური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის დარგობრივმა საფაკულტეტო კომისიამ კანდიდატ ლუიზა ლაფერადის განაცხადი საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისად მიიჩნია, თუმცა ფერწერის მიმართულების ასისტენტ პროფესორის 2 ვაკანტური ადგილის დასაკავებლად უპირატესობა ეკატერინე გელოვანსა და თამარ მინაშვილს მიანიჭა და დასახელებული პირები თანამდებობებზე 4 წლის ვადით აირჩია. ოქმის თანახმად, კომისიის წევრებმა, რომლებიც იცნობდნენ ლუიზა ლაფერადეს და მის მოღვაწეობას, განმარტეს, რომ ლუიზა ლაფერადე სახვითი ხელოვნების ფაკულტეტზე მოწვეულ პედაგოგად წლების განმავლობაში მუშაობდა, რა დროსაც მისი მხრიდან ხშირი იყო არაკოლეგიალური ქცევა, არაჯანსაღი, სასწავლო პროცესისათვის შეუსაბამო გარემოს შექმნა, რაც არასახარბიელოდ აისახებოდა საგანმანათლებლო პროცესზე.

პალატა დადგენილად მიიჩნევს შემდეგ სადავო ფაქტობრივ გარემოებას:

საკონკურსო კომისიის 2014 წლის 19 აგვისტოს გადაწყვეტილება (სხდომის ოქმი N6) სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემიაში ფერწერის მიმართულების ასისტენტ პროფესორის თანამდებობაზე ეკატერინე გელოვანისა და თამარ მინაშვილის კანდიდატურის არჩევის თაობაზე მიღებულ იქნა კომისიის წევრების მიერ ხსენებულ ვაკანსიაზე წარდგენილი კანდიდატების მონაცემების შეფასების საფუძველზე და რომელიმე კანდიდატისათვის უპირატესობის უსაფუძვლოდ მინიჭებაზე მეტყველი გარემოება საქმის მასალებიდან არ დასტურდება.

დასახელებული დასკვნა საქმის მასალებიდან, მხარეთა განმარტებებიდან და საკონკურსო კომისიის წევრების ჩვენებებიდან გამომდინარეობს.

მოწმე ილია ზაუტაშვილის ჩვენების თანახმად, იგი ლუიზა ლაფერადეს პირადად არ იცნობდა, მის შემოქმედებით პორტფოლიოს კი კომისიის საქმიანობისას გაეცნო და დადებითად შეაფასა იგი, ამასთან, არსებობდა კომისიის სხვა წევრების უარყოფითი დამოკიდებულება სამუშაო პროცესში ლუიზა ლაფერადის არაკოლეგიალურობასთან დაკავშირებით. მოწმის მოსაზრებით, აკადემია ექვემდებარება გარკვეულ პროგრამას და თუ ასისტენტ პროფესორი, ასოცირებული პროფესორი და სრული პროფესორი სხვადასხვა მიმართულებით იმოქმედებენ, სასწავლო პროცესი ვერ შედგება. ჩვენების მიხედვით, აღნიშნული შეხედულებისა და იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ ლუიზა ლაფერადის კონკურენტი კანდიდატების პორტპოლიოები იყო კარგი, ილია ზაუტაშვილი პირადად იცნობდა თამარ მინაშვილის შემოქმედებას, საქმიანობას და მეთოდოლოგიას და არ ჰქონდა მის მიმართ რაიმე საწინააღმდეგო, ლუიზა ლაფერადის კანდიდატურა არ იქნა მხარდაჭერილი (2015 წლის 16 დეკემბრის სხდომის ოქმი, 13:19:50-13:56:24).

მოწმე გიორგი გუგუშვილის ჩვენების შესაბამისად, ის ლუიზა ლაფერადეს და მის საქმიანობას რამდენიმე წელია იცნობს, ლუიზა ლაფერადე ნიჭიერი მხატვარია და წლების წინ აკადემიაში ასისტენტის თანამდებობაზე დაინიშნა, თუმცა აღნიშნულ თანამდებობაზე საქმიანობისას გაჩნდა რიგი პრობლემები. მოწმის განმარტებით, ლუიზა ლაფერადე არ ცნობდა სასწავლო პროგრამას, გააჩნდა მისეული ხედვა სწავლებაზე, შესაბამისად, ხელმძღვანელობასთან შეუთანხმებლად წარმართავდა სასწავლო პროცესს,

გამოიწვია სტუდენტების ულტიმატუმი და კონფლიქტი ადმინისტრაციასთან, რაც მიუღებელი იყო. მოწმის მითითებით, კომისიის სხდომის ოქმში საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ლუიზა ლაფერადის შესაბამისობაზე დასკვნა ლუიზა ლაფერადის პორტფოლიოს განხილვის შესაბამისად არის დაფიქსირებული, თუმცა ლუიზა ლაფერადის პედაგოგიური საქმიანობა უარყოფითად შეფასდა (2016 წლის 16 მარტის სხდომის ოქმი - 18:09:11-18:54:27).

მოწმე დავით ალექსიძის ჩვენების მიხედვით, მან ლუიზა ლაფერადე სკანდალური გამოფენის შემდეგ გაიცნო, მოსწონს მისი ნამუშევრები. მოწმის განმარტებით, კომისიაზე ხდებოდა კონკურსანტთა შეფასება, რის შედეგადაც მოხდა უკეთესი კანდიდატის გამოვლენა (2016 წლის 16 მარტის სხდომის ოქმი - 18:56:01-19:05:55).

მოწმე მამუკა მიქელაძის ჩვენების მიხედვით, ის ლუიზა ლაფერადეს არ იცნობს, მან შეაფასა რა კანდიდატების მონაცემები, არჩევანი ეკატერინე გელოვანისა და თამარ მინაშვილის სასარგებლოდ მიიღო (2016 წლის 16 მარტის სხდომის ოქმი - 19:07:49-19:12:11).

პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიჩნია, რომ მოწმეების მიერ დაფიქსირებული განმარტებები ქმნიდნენ საკონკურსო კომისიის მუშაობის ამსახველ სურათს, ცხადყოფდნენ კომისიის გადაწყვეტილების საფუძვლებს და დაუსაბუთებელია მოსარჩელე მხარის მტკიცება მასზე, რომ კომისიამ არასათანადოდ შეაფასა მისი პროფესიონალიზმი. უდავოა, რომ კომისიის წევრებს ლუიზა ლაფერადესთან, როგორც მხატვართან არ ჰქონიათ პრეტენზია, თუმცა ლუიზა ლაფერადის კანდიდატურა არ იქნა მხარდაჭერილი სტუდენტებთან სასწავლო პროცესის წარმართვასთან დაკავშირებული პრობლემების, ლუიზა ლაფერადისათვის სასწავლო პროგრამის მიუღებლობისა და კოლეგებთან მისი უთანხმოების გამო. ის გარემოება, რომ ლუიზა ლაფერადე ბევრ შემთხვევაში ხელმძღვანელი პირების ქმედებებში არაპროფესიონალიზმს ხედავდა, სასწავლო პროცესისადმი მათი დამოკიდებულება უპასუხისმგებლოდ მიაჩნდა და საჯაროდ აკრიტიკებდა სასწავლო პროგრამებს, დასტურდება ლუიზა ლაფერადის განმარტებებით (2015 წლის 16 დეკემბრის სხდომის ოქმი, 15:56:28, 12:58:56). ამასთან, ლუიზა ლაფერადის მოსაზრებით, „...მათთან საუბარი შეუძლებელი იყო“ (ს.ფ. 273-280). ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებულ პირობებში აკადემიაში ლუიზა ლაფერადის საქმიანობის ეფექტურობის მიმართ კომისიის პრეტენზია საფუძვლიანი და ლოგიკური იყო. კომისიის პოზიცია აკადემიის პერსონალის შერჩევასა და გამომდინარეობდა რა აკადემიის მიერ განსახორციელებელი პროგრამების შესრულების მიზნებიდან, ვერ იქნება მიჩნეული დაუსაბუთებლად.

ლუიზა ლაფერადეს კონკურენტი კანდიდატების პროფესიონალიზმისა თუ კომპეტენტურობის მიმართ პრეტენზია არ გამოუთქვამს, საქმის განხილვისას არ დადასტურებულა სადავო გადაწყვეტილებით თანამდებობებზე დანიშნული პირების თანამდებობასთან შეუსაბამობაზე მეტყველი ფაქტები.

პალატა ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებსა და დასკვნებს სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, მიუთითებს მათზე და სააპელაციო საჩივრის ფარგლებში დამატებით აღნიშნავს შემდეგს:

გასაჩივრებული გადაწყვეტილება (სხდომის ოქმი), როგორც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე მოსარჩელეს უარს ეუბნება თავის უფლებამოსილებას მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე, ბათილია, თუ ეწინააღმდეგება კანონს ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადების ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, თანახმად ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-601-ე მუხლისა.

გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შინაარსიდან გამომდინარე კი, მისი კანონიერება თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში აკადემიური პერსონალის მიღების მარეგულირებელი ნორმების საფუძველზე უნდა იქნეს შეფასებული.

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში აკადემურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარების ძირითადი პრინციპები და წესი განსაზღვრულია საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“, სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის წესდებითა და აკადემიის 2014 წლის 24 ივნისის N060ს/ზ ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის ჩატარების წესით.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, აკადემიური თანამდებობის დაკავება შეიძლება მხოლოდ ღია კონკურსის წესით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს, ამ პრინციპების დაცვას კი, კანონმდებლობით განსაზღვრული ნორმები უზრუნველყოფენ.

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მიხედვით, კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობით და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით დადგენილი წესით, საბუთების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე. კონკურსის ჩატარების წესი კი, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წესდებით განისაზღვრება.

სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის წესდების (დამტკიცებული საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 16 მაისის N05/84 ბრძანებით) 23-ე მუხლი აკადემიაში კონკურსის ჩატარების შემდეგ ძირითად წესებს ადგენს: კონკურსი წარმართება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე, ერთიანი საკონკურსო კომისიის მიერ აირჩევიან აკადემიის პროფესორები, მეორე ეტაპზე დარგობრივი (საფაკულტეტო) კომისიის მიერ აირჩევიან ფაკულტეტების ასოცირებული პროფესორები, ასისტენტ-პროფესორები და ასისტენტები (მე-2 პუნქტი); ერთიანი საკონკურსო კომისია შედგება ათი წევრისაგან. თითოეული ფაკულტეტის საბჭო შეარჩევს სათანადო ცოდნის, დამსახურებისა და გამოცდილების მქონე 4 კანდიდატურას შესაბამისი დარგიდან/სფეროდან, და წარუდგენს რექტორს. რექტორი თითოეული ფაკულტეტის მიერ წარდგენილი კანდიდატურებიდან შეარჩევს 2 წარმომადგენელს, რომლებიც შეადგენენ ერთიან საკონკურსო კომისიას (მე-3 პუნქტი); საკონკურსო კომისიის წევრი არ შეიძლება

იყოს აკადემიის ადმინისტრაციული თანამდებობის პირი, აგრეთვე, კონკურსში მონაწილე კანდიდატი (მე-4 პუნქტი);

აკადემიის პროფესორების არჩევის შემდგომ, ერთიანი საკონკურსო კომისია იყოფა დარგობრივ (საფაკულტეტო) კომისიებად, რომელთა შემადგენლობაშიც შედიან 2 ერთიანი საკონკურსო კომისიის წევრი, რომელიც რექტორის მიერ აირჩა ფაკულტეტის წარდგენილი კანდიდატურებიდან და ამავე ფაკულტეტის არჩეული პროფესორები (მე-5 პუნქტი); კონკურსის ჩატარების დამატებით წესსა და პირობებს ადგენს აკადემიური საბჭო (მე-6 პუნქტი);

„უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელოვნებო-შემოქმედებით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სახელოვნებო (შემოქმედებითი) მიმართულების (გარდა თეორიული დარგებისა) ასისტენტ-პროფესორის თანამდებობაზე არანაკლებ 4 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირი.

სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელიძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის წესდების (დამტკიცებული საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 16 მაისის N05/84 ბრძანებით) 24-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ასისტენტ პროფესორად 4 წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს: ა) არასახელოვნებო სპეციალობისათვის - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი; ბ) სახელოვნებო სპეციალობისათვის - შესაბამისი სპეციალობის მაგისტრი ან მაგისტრთან გათანაბრებული პირი.

სააპელაციო პალატა აღნიშნავს რომ, სააპელაციო საჩივრის განხილვის ფარგლებში სამხატვრო აკადემიის მხრიდან კონკურსის ჩატარების წესის ან პროცედურის დარღვევა ვერ იქნა გამოვლენილი, რაც შეეხება კონკურსში მონაწილე პრეტენდენტთა პროფესიული და პიროვნული თვისებების შეფასებას კანონითა და შესაბამისი განაცხადით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით საკონკურსო თანამდებობაზე არჩევის შესახებ, აღნიშნული განეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციის სფეროს, რომლის შემოწმების შინაარსობრივი მხარეც სასამართლოს უფლებამოსილებას სცილდება. სააპელაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, კონკურსანტის პროფესიული და პიროვნული თვისებების შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა საკონკურსო კომისიის დისკრეციის სფეროა, რაც საკონკურსო კომისიას ანიჭებს უფლებამოსილებას კანონმდებლობის შესაბამისად, რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. თსსა ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ჩატარების წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ვაკანტური აკადემიური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის მიზანია შესაბამის ვაკანტურ თანამდებობაზე რეგისტრირებულ პრეტენდენტთაგან საუკეთესოს გამოვლენა და მისი აკადემიურ თანამდებობაზე არჩევა. საუკეთესოს გამოვლენა გულისხმობს თითოეული კანდიდატის, მისი პროფესიული უნარების, გამოცდილების, სამეცნიერო თუ შემოქმედებითი პოტენციალისა და ა. შ. შეფასებას თსსა მისიისა და შესაბამისი ვაკანტური თანამდებობის მიმართ დადგენილ მოთხოვნების ქრილში. კონკურსის მიზანია პრეტენდენტთაგან გამოავლინოს ის კანდიდატი, რომელიც მაქსიმალურად შეეფერება

შესაბამის ვაკანტურ თანამდებობას. კომისიის გადაწყვეტილება არ შეიძლება შეფასებული იქნას, როგორც პრეტენდენტთაგან საუკეთესო ხელოვანის, მეცნიერის ან პედაგოგის გამოვლენა, რამეთუ მხოლოდ ამ ტიპის შეფასება არ წარმოადგენს კომისიის ძირითად მიზანს.

საკონკურსო კომისია და მისი თითოეული წევრი გადაწყვეტილებას იღებს შინაგანი რწმენის საფუძველზე. გადაწყვეტილების მიღებისას კომისიის თითოეული წევრი უნდა ხელმძღვანელობდეს გამოქვეყნებული საკონკურსო განაცხადებით, თითოეული აკადემიური თანამდებობის მიმართ დაწესებული საკვალიფიკაციო მოთხოვნებით, კრიტერიუმებით, რომლებიც მითითებულია საკონკურსო განაცხადებაში და ა.შ.

კონკურსის ჩატარების წესის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუკი ვაკანტურ თანამდებობაზე არის ორი ან მეტი კანდიდატი, რომელიც აკმაყოფილებს საკონკურსო განაცხადის მოთხოვნებს, საკონკურსო კომისია იღებს გადაწყვეტილებას კანდიდატთაგან საუკეთესოს შერჩევის თაობაზე.

ამავე წესის მე-10 მუხლის შესაბამისად, კომისიას, თუკი ის მიზანშეწონილად ჩათვლის, აქვს შესაძლებლობა, ოქმში დააფიქსიროს ის მოსაზრებები, გარემოებები თუ არგუმენტები, რომლითაც მან იხელმძღვანელა გადაწყვეტილების მიღებისას.

მოცემულ შემთხვევაში, სადავო აქტი გამოტანილია ზემოაღნიშნული წესების დაცვით და საწინააღმდეგოზე მითითება არც მოსარჩელეს გაუკეთებია. მოსარჩელის მტკიცება საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების არაობიექტურობასთან დაკავშირებით სასამართლოს მიერ არ იქნა გაზიარებული უსაფუძვლობის გამო (პუნქტი 3.2).

სააპელაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად, დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს უფლებამოსილება, რომელიც ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. ხოლო ამავე კოდექსის მე-6-7 მუხლებით განისაზღვრება დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესი და პირობები. კერძოდ: თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში; ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება; დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიყენოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიყენა; დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებასთან გვაქვს საქმე, როდესაც სამართლის ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობისა და ფაქტის შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში მას რჩება შესაძლებლობა, აირჩიოს მისაღები ღონისძიება. ასეთ შემთხვევაში კანონი ერთ კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს კი არ განსაზღვრავს, არამედ ადმინისტრაციულ ორგანოს აღჭურავს უფლებამოსილებით, თვითონ განსაზღვროს სამართლებრივი შედეგები, იმდენად, რამდენადაც ორი ან რამდენიმე შესაძლო სამართლებრივი შედეგს ადგენს და აძლევს შესაძლებლობას, აირჩიოს ყველაზე მისაღები საშუალება. სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულმა უფლებამოსილებამ შეიძლება მოიცვას ადმინისტრაციული ორგანოს არჩევანის შესაძლებლობა – კონკრეტულ შემთხვევაში განახორციელოს თუ არა რაიმე ღონისძიება ან მისაღები ღონისძიებებიდან რომელი გამოიყენოს.

სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ კონკურსანტის პროფესიული და პიროვნული თვისებების შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა საკონკურსო კომისიის დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატა აღნიშნავს, რომ წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დისკრეციული უფლებამოსილება განხორციელებულია კანონით დადგენილ ფარგლებს გადაცილებით ან/და აღნიშნული ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების უგულებელყოფით. საბოლოოდ, სააპელაციო პალატას მიაჩნია რომ, საკონკურსო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება წინააღმდეგობაში არ მოდის მოცემული ურთიერთობის მარეგულირებელ სამართლებრივ ნორმებთან.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის საფუძვლები რეგლამენტირებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 მუხლით, რომლის პირველი ნაწილი ადგენს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს, ან არსებითად დარღვეულია მისი მომზადებისა ან გამოცემის კანონმდებლობით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, კანონმდებელი მითითებული მუხლის მე-2 ნაწილში აზუსტებს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებისა ან გამოცემის წესის არსებით დარღვევად ჩაითვლება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა ამ კოდექსის 32-ე ან 34-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების სახის დარღვევით, ანდა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 22-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის შესახებ თუ ადმინისტრაციული აქტი ეწინააღმდეგება კანონს და ის პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას, ან ინტერესს ან უკანონოდ ზღუდავს მას. ამავე კოდექსის 33-ე მუხლი ადგენს, რომ თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემაზე უარი კანონს ეწინააღმდეგება ან დარღვეულია მისი

გამოცემის ვადა და ეს პირდაპირ და უშუალო (ინდივიდუალურ) ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო ამ კოდექსის 23-ე მუხლში აღნიშნულ სარჩელთან დაკავშირებით გამოიტანს გადაწყვეტილებას, რომლითაც ადმინისტრაციულ ორგანოს ავალებს, გამოსცეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

სააპელაციო პალატა აღნიშნავს რომ, სააპელაციო საჩივრის განხილვისას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-601 მუხლითა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 32-ე მუხლით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის საფუძვლები არ გამოვლენილა.

რაც შეეხება სააპელაციო საჩივრის ავტორის განცხადებას სამხატვრო აკადემიის მხრიდან მის მიმართ დისკრიმინაციული მიდგომისა და დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის მოთხოვნასთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 377-ე მუხლის ჩანაწერზე, რომლის მიხედვითაც სააპელაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას სააპელაციო საჩივრის ფარგლებში ფაქტობრივი და სამართლებრივი თვალსაზრისით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლის თანახმად, დავის საგნის შეცვლა ან გადიდება სააპელაციო სასამართლოში დაუშვებელია. რადგანაც სამხატვრო აკადემიის მხრიდან ლ. ლაფერაძის მიმართ დისკრიმინაციული მიდგომისა და დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა არ ყოფილა სასარჩელო დავის საგანი და მასზე პირველი ინსტანციის სასამართლოს არ უმსჯელია, სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 381-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით მოკლებულია შესაძლებლობას შეცვალოს ან გაადიდოს დავის საგანი და იმსჯელოს სააპელაციო საჩივრის ავტორის აღნიშნულ მოთხოვნაზე.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ ლ. ლაფერაძის სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლოა, რადგან ადგილი არა აქვს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 601 მუხლით გათვალისწინებულ კანონის დარღვევას, შესაბამისად, არ არსებობს სადავო აქტის ბათილად ცნობისა და ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გაცემის დავალდებულების საფუძველი.

6. შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა:

სააპელაციო პალატის მოსაზრებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმე განიხილა არსებითი საპროცესო დარღვევების გარეშე, სწორად დაადგინა საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები და სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა მათ. შესაბამისად, სახეზე არ არის გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებული ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, რის გათვალისწინებითაც სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება.


IV ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ლი, 34-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე, 372-ე, 386-ე, 390-391-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ლუიზა ლაფერაძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება;
3. განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს კასაციის წესით, საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (ქ. თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32), დასაბუთებული განჩინების მხარეთათვის გადაცემიდან 21 (ოცდაერთი) დღის ვადაში, თბილისის სააპელაციო სასამართლოს მეშვეობით (ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის გამზირი №7ა);

მოსამართლე:



გიორგი გოგიაშვილი

| | | |
|---|----|------|
| ასლი დედანთან სტორმე | | |
| თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ სამსახურს | | |
| საქმის ნომერი: | 16 | 01 |
| თარიღი: | | 2017 |



დამატებითი განჩინება
საქართველოს სახელით

30 დეკემბერი, 2016 წელი

თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

მოსამართლე - გიორგი გოგიაშვილი

აპელანტი - ლუიზა ლაფერაძე
წარმომადგენელი - ქეთევან ბახტაძე

მოწინააღმდეგე მხარე - სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო
აკადემია
წარმომადგენელი - გივი ყიფიანი

მესამე პირი - ეკატერინე გელოვანი, თამარ მინაშვილი

დავის საგანი - დამატებითი გადაწყვეტილების მიღება

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - თბილისის საქალაქო სასამართლოს
ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება


სააპელაციო სასამართლომ

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 31
მაისის გადაწყვეტილებით ლუიზა ლაფერაძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გასაჩივრა ლუიზა ლაფერაძემ რომელმაც
მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების
მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 29



დეკემბრის განჩინებით ლუიზა ლაფერადის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 31 მაისის გადაწყვეტილება;

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, საქმის განხილვა სააპელაციო სასამართლოში წარმოებს იმ წესების დაცვით, რაც დადგენილია პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვისათვის, ამ თავში მოცემული ცვლილებებითა და დამატებებით.


პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს შეუძლია თავისი ინიციატივით ან მხარეთა თხოვნით გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება, თუ: სასამართლოს არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი. ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, დამატებითი გადაწყვეტილება სასამართლოს გამოაქვს სასამართლო სხდომაზე, რომლის შესახებაც ეცნობებათ მხარეებს, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს ასეთი გადაწყვეტილების გამოტანას. ხოლო 31 მუხლის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკითხი განიხილება ზეპირი მოსმენის გარეშე. სასამართლოს შეუძლია დაადგინოს ზეპირი განხილვაც, თუ ეს საჭიროა და ხელს უწყობს საქმის გარემოებების გარკვევას. ზეპირი განხილვის შემთხვევაში მხარეებს ეცნობებათ სხდომის ჩატარების დრო და ადგილი, მაგრამ მათი გამოუცხადებლობა ვერ დააბრკოლებს სასამართლოს მიერ საკითხის განხილვასა და გადაწყვეტას

მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ მიიღო რა განჩინება განსახილველ საქმეზე, არ გადაუწყვეტია სასამართლო ხარჯების საკითხი, რის გამოც პალატა სსსკ-ის 261-ე მუხლის საფუძველზე თავისი ინიციატივით უფლებამოსილია გამოიტანოს დამატებითი გადაწყვეტილება აღნიშნულ საკითხზე.

პალატა მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში გადასაწყვეტ საკითხს წარმოადგენს აპელანტის მიერ სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხის მისთვის დაბრუნება.

პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 37-ე მუხლზე, რომლის თანახმად, პროცესის ხარჯებს შეადგენს სასამართლო ხარჯები და სასამართლოსგარეშე ხარჯები. სასამართლო ხარჯებს შეადგენს სახელმწიფო ბაჟი და საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯები.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდება სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხთან დაკავშირებით აღძრულ სარჩელზე და ამ კოდექსის VII3 თავით განვალისწინებულ საქმეებზე.



მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის სახვითი ხელოვნების ფაკულტეტის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებელი კონკურსის დარგობრივი საფაკულტეტო კომისიის 2014 წლის 19 აგვისტოს N6 სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობა ლუიზა ლაფერაძისათვის ასისტენტ პროფესორის აკადემიური თანამდებობის დაკავებაზე უარის თქმის ნაწილში, რაც განეკუთვნება სახელმწიფო სოციალური დაცვის საკითხთან დაკავშირებული დავების კატეგორიას. აპელანტ ლუიზა ლაფერაძეს სააპელაციო საჩივარზე გადახდილი აქვს სახელმწიფო ბაჟი, 150 ლარი, შესაბამისად, ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-9 მუხლის თანახმად, აპელანტი გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, სააპელაციო საჩივრისათვის სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხა, 150 ლარი, როგორც უსაფუძვლოდ გადახდილი, უნდა იქნეს მისთვის დაბრუნებული სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე მუხლის მე-4 ნაწილზე, რომლის თანახმად, დამატებითი გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო წესით, განსახილველ შემთხვევაში კი საკასაციო წესით.


ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 261-ე, 372-ე, 390-ე, 391-ე, 395-ე, 397-ე მუხლებით

დაადგინა:

1. ლუიზა ლაფერაძეს დაუბრუნდეს მის მიერ 2016 წლის 31 ოქტომბერს სს ბანკი „რესპუბლიკას“ მეშვეობით N1 საკრედიტო საგადასახადო დავალებით სახელმწიფო ბაჟის სახით გადახდილი თანხა 150 ლარი;
2. დამატებითი განჩინება შეიძლება გასაჩივრდეს საკასაციო საჩივრით საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში (თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32) თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მეშვეობით (თბილისი, გრ. რობაქიძის გამზ. №7ა) მხარეთათვის დასაბუთებული დამატებითი განჩინების ასლის ჩაბარებიდან 21 (ოცდაერთი) დღის ვადაში.

მოსამართლე



გიორგი გოგიაშვილი

| |
|--|
| ასლი დედანთან სსო რია |
| თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა |
| ხელმოწერა: _____ |
| ... 2017 წ. |